ხელშეკრულება № 03-05/63
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 1 სექტემბერი 2016 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:.

ერთი მხრივ **შ.პ.ს. მინია** (ქ. ბათუმი გორგილაძის ქ. N39/4 სახით, შემდგომში „მიმწოდებელი" და მეორეს მხრივ სსიპ ქალაქ ბათუმის №3 საჯარო სკოლის დირექტორის იანა ჩადუნელის სახით , შემდგომში „შემსყიდველი", დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს შემდგომში საქონლის მოწოდება**CPV: 31500000;**), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს **159-75**(ოცდაერთი ლარი) ლარი

1.3 შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფორმა №3-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. საქონლის მიღება – ჩაბარება

2.1. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსული პირები,

2.2.სასაქონლო ზედნადების საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მიღებული საქონლისათვის.

2.3. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

2.4. შემსიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

3. გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

4. ანგარიშწორება

4.1. ანგარიშწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარდგენის შემდეგ 5 საბანკო დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირრობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარას შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ნებისმიერი ცვლილება , რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არ მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებრივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არშეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულია.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილიბა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლ

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელსეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოსცადოს საქონელი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

9.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

9.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

9.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს- მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებრივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვაროს ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12.გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტეცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალი შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელიმე უფრო გვიან დგება.

15. გადასახადები და ბაჟები

15.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების,ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, აქედან თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

16 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

მხარეთ აიურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსრულებელი"
შ.პ.ს მინია
ქ. ბათუმი გორგილაძის N37/4
სს „პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგ N: GE42PC0033600100048317
ს/კ 445391399

დირექტორი:

„შემსყიდველი"
ქ. ბათუმის N3 საჯარო სკოლა
ქ. ბათუმი ვ.გორგასალის ქ. N122
სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგN: GE 95 LB0121126263582000
ს/კ 245 428 979

დირექტორი: /ი. ჩადუნელი/

ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ

ფორმა №3

(ივსება მიმწოდებლის მიერ)

№	დანაყოფის კოდი	საქონლის აღწერილობა	რ-ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	31500000	ელ.სადენი	17	4,75	80,75	N3 სკოლა	სექტემბერი
2	31500000	ელ სადენი	15	0,9	13,5	N3 სკოლა	სექტემბერი
3	31500000	ავტომატის ყუთი	1	8	8	N3 სკოლა	სექტემბერი
4	31500000	საიზოლაციო ელ ლენტა	5	0,80	4	N3 სკოლა	სექტემბერი
5	31500000	გოფრირებული მილი	50	0,35	17,50	N3 სკოლა	სექტემბერი
6	31500000	წებო ელ	1	8	8	N3 სკოლა	სექტემბერი
7	31500000	სიგოტა	1	23	23	N3 სკოლა	სექტემბერი
8	31500000	კოლოფი	1	5	5	N3 სკოლა	სექტემბერი
	ჯამი				159,75		

სსიპ ქალაქ ბათუმის №3 საჯარო სკოლის

დირექტორი: /ი. ჩადუნელი/

Ш.პ.ს. მინიას დირექტორი /

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ბათუმი

1 სექტემბერი 2016 წ

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია მასზედ, რომ „მიმწოდებელმა" –შ.პ.ს. მიამ ჩააბარა და „დამკვეთმა" სსიპ ქალაქ ბათუმის №3 საჯარო სკოლის დირექტორმა იანა ჩადუნელმა „მიმღებმა" მიიღო 159-75(ას ორმოცდაცხრამეტი ლარი და 75 თეთრი) ლარის ღირებულების მომსახურება.

დამკვეთს შემსრულებლის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია.

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	ელ.სადენი	17	4,75	80,75
2	ელ სადენი	15	0,9	13,5
3	ავტომატის ყუთი	1	8	8
4	საიზოლაციო ელ ლენტა	5	0,80	4
5	გოფრირებული მილი	50	0,35	17,50
6	წებო ელ	1	8	8
7	სიგოტა	1	23	23
8	კოლოფი	1	5	5
	ჯამი			159,75

„დამკვეთმა" მიიღო: /ა. მარგველაშვილი/

„შემსრულებელმა" ჩააბარა: /